პროლეტარებო ყველა ქვეყნისა, შეერთდით!

კომუნისტი

გაზეთი გამოდის 1920 წლის 3 ივნისიდან

საქართველოს კომუნისტური პარტიის ცენტრალური კომიტეტის, საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს და მინისტრთა საბჭოს ორგანო

КОМУНИСТИ — ОРГАН ЦК КП ГРУЗИИ, ВЕРХОВНОГО СОВЕТА И СОВЕТА МИНИСТРОВ ГРУЗИНСКОЙ ССР

№ 255 (19797) სამშაბათი, 6 ნოემბერი, 1984 წელი. ფასი 3 კაპ.

ეროვნული ბიბლიოთეკა

დიდება ოქტომბერს!

1917-1984

ლენინის ძლევამოსილი დროშით

შემოქმედებითი ძალების ენერგიით აღსავსე ეგებება დიდ ოქტომბრის დღეს საბჭოეთი.

გვახსოვდება ლენინის სიტყვები, რომლებიც 1921 წელს თქვა ოქტომბრის რევოლუციის მეოთხე წლისთავის გამო: „რაც უფრო გვშორდება ეს დღე, მით უფრო ნათელი ხდება რუსეთის პროლეტარიატის მნიშვნელობა... ჩვენ შეგვიძლია ვიამაყოთ და ვიამაყებთ კიდეც, რომ წილად გვხვდა ბედნიერება დაგვეწყო საბჭოთა სახელმწიფოს მშენებლობა, დაგვეწყო ამით მსოფლიო ისტორიის ახალი ეპოქა".

დიდმა ოქტომბერმა თავის დროშაზე თავიდანვე დააწერა სიტყვები: მშვიდობა, შრომა, თავისუფლება. და დღეს ეს დროშა მშვიდობისა და კაცობრიობის ნათელი იდეალების სიმბოლოდ ფრიალებს მსოფლიოში. ამიტომ ერგო ჭეშმარიტად საპატიო ხვედრი 7 ნოემბერს ყოველწლიურ გამორჩეული არა მარტო საბჭოთა ხალხის, არამედ მთელი მსოფლიოს პროგრესულ ადამიანთა ყველა შრომელის დღესასწაულად.

განვლილი სამოცდაშვიდი წლისთავის გზების თვალის ერთი გადავლებაც კი საკმარისია, რომ ჩვენ წინაშე მთელი სიდიადით წარმოდგეს ის მიღწევები და წარმატებები, რომლებიც მოვიპოვეთ ახალი სოციალისტური საზოგადოების მშენებლობაში დიდი ლენინის მიერ შექმნილი კომუნისტური პარტიის მეთაურობით.

საბჭოთა ადამიანები დიდი პოლიტიკური და შრომითი აღმავლობის ვითარებაში ეგებებიან ოქტომბრის სოციალისტური რევოლუციის 67 წლისთავს. ისინი წარმატებით ახორციელებენ სკკპ XXVI ყრილობის, სკკპ ცენტრალური კომიტეტის 1982 წლის ნოემბრისა და 1983 წლის ივნისის პლენუმების წინასწარმდასახულობებს, სახახელო მიჯნებს აღწევენ კომუნისტური მშენებლობის ყველა დარგში. წლითიწლობით ვითარდება ეკონომიკა, მეცნიერება, ტექნიკა, მაღლდება ხალხის კულტურისა და განათლების დონე, უმჯობესდება საზოგადოებრივი კეთილდღეობა, საბჭოთა ადამიანები გულდაჯერებით შეჰყურებენ ხვალინდელ დღეს.

დიდმა ოქტომბერმა მშრომელ ადამიანს თვარითო პერსპექტივები დაუსახა. იგი ქვეყნის ნამდვილ ბატონ-პატრონად აქცია. საბჭოთა ადამიანები აქტიურად მონაწილეობენ სახელმწიფო საქმეთა მართვაში, რეალურად აქვთ მოქალაქეობრივი უფლებები და თავისუფლებები, რომელიც არ არის და არც შეიძლება იყოს კაპიტალიზმის დროს.

ყოველმხრივ ადამიანის კეთილდღეობისათვის, ყოველმხრივ მისი ბედნიერებისათვის — ეს მიაჩნია ლენინურ პარტიას თავისი საქმიანობის უმაღლეს აზრად.

სოციალიზმი და მშვიდობა განუყოფელია. სავსებით კანონზომიერია, რომ ახალგაზრდა საბჭოთა სახელმწიფოს პირველი საგარეო-პოლიტიკური დოკუმენტი იყო დეკრეტი ზავის შესახებ. მას შემდეგ ლენინური სამშვიდობო პროგრამა საბჭოთა კავშირის მშვიდობისმოყვარული საგარეო პოლიტიკის ურყევი საფუძველია. კომუნისტური პარტია და საბჭოთა სახელმწიფო განუხრელად ახორციელებენ ლენინურ ოქტომბრის სამშვიდობო პოლიტიკას, მტკიცედ იბრძვიან ქვეყნად მშვიდობის დამკვიდრებისათვის. მას სულ უფრო მეტად უჭერენ მხარს საერთაშორისო ასპარეზზე პროგრესული ძალები.

ოქტომბრის იდეებმა, გამოცდილებამ და მაგალითმა მძლავრი ბიძგი მისცა კომუნისტურ და მუშათა მოძრაობას, ჩაგრული ხალხების ბრძოლას, რომლის შედეგიც გახდა იმპერიალიზმის კოლონიური სისტემის რღვევა. სოციალიზმის დროშა, რომელიც ოქტომბერმა აღმართა, ამაყად ფრიალებს მსოფლიოს მრავალ ქვეყანაში, როგორც მთელი კაცობრიობის მომავლის სიმბოლო.

დღეს პარტია და ხალხი წყვეტენ უმაგალითო მასშტაბის ამოცანებს, სრულდება კომპლექსური სოციალურ-ეკონომიკური პროგრამები, სახეს იცვლიან უდიდესი რეგიონები, უმჯობესდება საბჭოთა ხალხის კეთილდღეობა.

შეუძლებელია ილაპარაკო საბჭოთა ადამიანზე, ჩვენი სოციალისტური საზოგადოების წევრზე და არ აღნიშნო ის მთავარი და არსებითი, რაც ახასიათებს მას, რაც აღუღაბებს მის მორალურ სიმტკიცეს და ამით ხელს უწყობს ქვეყნის ძლიერებასა და პროგრესს. ეს არის საბჭოთა კავშირის ხალხთა მეგობრობა, ჩვენი ადამიანებისათვის დამახასიათებელი კოლექტივიზმისა და ამხანაგობის ატმოსფერო, მათი მაღალი მოქალაქეობა, სულიერი სიწმინდე, ზნეობრივი სიჯანსაღე.

საბჭოთა კავშირის ხალხების საერთო მწყობრში გულდაჯერებით მიდიან კომუნისტური მშენებლობის გზით ოთხგზის ორდენოსანი საქართველოს მშრომელები, მნიშვნელოვანია მათი წვლილი ცხოვრების ყველა სფეროში, ჩვენი ქვეყნის მიერ მოპოვებულ საერთო წარმატებებში.

იმ დიდი ამოცანების გადასაწყვეტად, რომლებიც პარტიამ დაუსახა ჩვენს რესპუბლიკას, არასოდეს გვქონია ისეთი პირობები, ისეთი პოლიტიკური და იდეოლოგიური საძირკველი, როგორიც დღეს გვაქვს. სკკპ ცენტრალურმა კომიტეტმა ათზე მეტი მნიშვნელოვანი დადგენილება მიიღო ჩვენი რესპუბლიკის შესახებ. სწორედ 70-იან წლებში იქცა საქართველოს პოლიტიკური, სოციალურ-ეკონომიკური, კულტურული, ზნეობრივი, ინტელექტუალური საქმიანობის შემობრუნების ხანად.

საბჭოთა კომუნისტების, ყველა მშრომელის ერთგულება დიდი ლენინის ანდერძისადმი, პარტიის ყოველმხრივ აწონ-დაწონილი, პრინციპული კურსი საერთაშორისო ასპარეზზე, სკკპ ცენტრალური კომიტეტის, პოლიტბიუროსა და მისი მეთაურის სკკპ ცენტრალური კომიტეტის გენერალური მდივნის კ. უ. ჩერნენკოს დაუღალავი საქმიანობა იმის საიმედო გარანტიაა, რომ ჩვენ მტკიცედ, გულდაჯერებულად მივაბიჯებთ დიადი მიზნისაკენ.

დიდი ოქტომბრის რევოლუციიდან 67 წელი გავიდა. ამ წლებმა დაიტია მთელი ეპოქა ბობოქარი, საკაცობრიო იდეალებით გაცისკროვნებული, მილიონობით ადამიანების გმირობის შარავანდედით მოსილი და თავდადებული შრომით აღსავსე ეპოქა.

დაე, მარადჟამს ცოცხლობდეს დიდი ოქტომბრის იდეები და საქმე!

გაუმარჯოს ჩვენს დიად სამშობლოს — საბჭოთა სოციალისტური რესპუბლიკების კავშირს!

საქართველოს სსრ სახალხო მხატვრის თენგიზ სამსონაძის პლაკატი.

მეც ერთი სხივი

ვდგავარ,
ვითარცა ამოწვდილი
ხმალი ქარქაშით,
ჩემი დღეებიც
წკრიალებენ,
ძლერენ,
ბრწყინავენ,
თავში ვეწერო,
მინდა ჩემი
ქვეყნის ლაშქარში,
როგორც მედროშე,
მეციხოვნე
და მეწინავე!
აქ მინდა ვიდგა,
მინდა ვენთო,
მინდა დავიწვა,
მინდა ბოლომდე
დავიხარჯო,
რასაც ვილონებ,
ვილხინ-ვიწუხო
შენი ტკბილით,
შენი მწარითა
და სულ ერთია —
დამიხსომებ,
არ დამიხსომებ...
ნუ დაარქმევენ,
და, ამ ქუჩას
შემდეგ ჩემს სახელს,
მაინც არ შევცვლი
გაკეთებულს
ერთხელ არჩევანს!
სუნთქვა შერჩება
ჩემეული,
ვიცი,
ამ სახლებს,
აქ ჩემს სახელზე
ერთი ცრემლი
მაინც დარჩება!
ამ სიყვარულით
ანთებული
ერთი ბარათი,
ფერად ბალიშზე მოცახცახე
ერთი სიზმარი,
ბაგეზე ცელქად მოკიაფე
ენება, მარადის
ყოლაცისათვის
ძვირფასი და
დაუვიწყარი!
მეც ერთი სხივი
მინდა ვიყო
ამ მზის კაშკაშში,
ერთი აგური,
პურის ნამცეცი —
ერთი ილლია...
მაშ, მიმაწერეთ
სადმე ჩემი
ქვეყნის ლაშქარში
და ნუ დამზოგავთ,
მიმსახურეთ,
რაც შემიძლია!

მზია ჩხეტიანი

სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის ბრძანებულება

საქართველოს სს რესპუბლიკაში მცხოვრები მრავალშვილიანი დედის თ. მ. ჩიქოვანისათვის „გმირი დედის" წოდების მინიჭების შესახებ

„გმირი დედის" წოდება მიენიჭოს და გადაეცეს „გმირი დედის" ორდენი ქალაქ თბილისის მკვიდრს, თამარ მიხეილის ასულ ჩიქოვანს, დიასახლისს, რომელმაც შობა და აღზარდა ათი შვილი.

სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის თავმჯდომარე
კ. ჩერნენკო.

სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის მდივანი
თ. მენთეშაშვილი.

მოსკოვი, კრემლი.
1984 წლის 26 ოქტომბერი.

კ. უ. ჩერნენკო შეხვდა სოციალისტური ქვეყნების ახალგაზრდულ ორგანიზაციათა ხელმძღვანელებს

5 ნოემბერს სკკპ ცენტრალურ კომიტეტში სკკპ ცენტრალური კომიტეტის გენერალური მდივანი, სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის თავმჯდომარე კ. უ. ჩერნენკო შეხვდა სოციალისტური ქვეყნების ახალგაზრდულ ორგანიზაციათა ხელმძღვანელებს.

შეხვედრაში მონაწილეობდნენ სტანკა შოპოვა — ახალგაზრდობის დიმიტროველი კომუნისტური კავშირის ცენტრალური კომიტეტის პირველი მდივანი, დიორდ ფეიტი — უნგრეთის ახალგაზრდული კომუნისტური კავშირის ცენტრალური კომიტეტის პირველი მდივანი, ვუ მაი—ბო ში მინის კომუნისტური ახალგაზრდობის კავშირის ცენტრალური კომიტეტის პირველი მდივანი, ებერჰარდ აურიხი — თავისუფალი გერმანელი ახალგაზრდობის კავშირის ცენტრალური საბჭოს პირველი მდივანი, კიმ ჩხან რენი — კორეის სოციალისტური მშრომელი ახალგაზრდობის კავშირის ცენტრალური კომიტეტის თავმჯდომარის მოადგილე, კონრადო მარტინეს კორონა — კუბის ახალგაზრდა კომუნისტთა კავშირის ეროვნული კომიტეტის მეორე მდივანი, ფხანდუანგჩიტ ვონგსა — ლაოსის სახალხო-რევოლუციური ახალგაზრდობის კავშირის ცენტრალური კომიტეტის მდივანი, ცერენდორჯიინ ნარანგერელი — მონღოლეთის ახალგაზრდობის რევოლუციური კავშირის ცენტრალური კომიტეტის პირველი მდივანი, ეჟი შმაიძინსკი — პოლონეთის სოციალისტური ახალგაზრდობის კავშირის მთავარი გამგეობის თავმჯდომარე, ლეშეკ ლესინიაკი — სოფლად პოლონეთის სოფლის ახალგაზრდობის გამგეობის თავმჯდომარე, რიშარდ ვოსინსკი — პოლონელ ჰარცერთა კავშირის უფროსი, ცეზარი ბროშჩი — პოლონელ სტუდენტთა გაერთიანების მთავარი საბჭოს თავმჯდომარე, ნიკუ ჩაუშესკუ — რუმინეთის კომუნისტური ახალგაზრდობის კავშირის ცენტრალური კომიტეტის პირველი მდივანი, ვ. მ. მიშინი — სრულიად საკავშირო ალკკ ცენტრალური კომიტეტის პირველი მდივანი, იაროსლავ ენერალი — ჩეხოსლოვაკიის ახალგაზრდობის სოციალისტური კავშირის ცენტრალური კომიტეტის თავმჯდომარე, სრულიად საკავშირო ალკკ ცენტრალური კომიტეტის მდივნები.

შეხვედრაზე გამოვიდა ამხანაგი კ. უ. ჩერნენკო.

ამხანაგ კ. უ. ჩერნენკოს გამოსვლა

ძვირფასო მეგობრებო!

უწინარეს ყოვლისა მინდა გულითადად მოგესალმოთ ჩვენი პარტიის ცენტრალური კომიტეტის, ცენტრალური კომიტეტის პოლიტბიუროს სახელით.

გულწრფელად მახარებს ის ფაქტი, რომ ეწყობა სოციალისტური ქვეყნების ორგანიზაციათა ხელმძღვანელების ესოდენ წარმომადგენლობითი შეხვედრა. მახარებს იმიტომ, რომ იგი თვალნათლივ ავლენს ჩვენი პარტიების, სახელმწიფოების, ხალხების დამაკავშირებელ მტკიცე, ურღვევ მეგობრობასა და თანამშრომლობას, მახარებს იმიტომ, რომ სხვადასხვა დონეზე ახალგაზრდობის, ახალგაზრდული ორგანიზაციების კონტაქტები იმის მნიშვნელოვანი წინამძღვარია, რომ ეს ურთიერთობა მტკიცდებოდეს და მრავლდებოდეს.

ახალგაზრდული ორგანიზაციებისადმი ხელმძღვანელობის სრულყოფა კომუნისტების ერთ-ერთი უპირველესი საზრუნავია. ეს კვლავ დამაჯერებლად დაადასტურა მიმდინარე წლის ზაფხულში სოფიაში გამართულმა მოძმე პარტიების ცენტრალური კომიტეტების მდივანთა შეხვედრამ, რომელიც მიეძღვნა ახალგაზრდობასთან მუშაობის საკითხებს. დიდი, მე ვიტყოდი, საპროგრამო დადგენილება მიიღო ამას წინათ, როგორც მოგეხსენებათ, სკკპ ცენტრალურმა კომიტეტმა, და იგი მიზნად ისახავს კომკავშირისადმი პარტიული ხელმძღვანელობის დონის ამაღლებას. ეს დადგენილება განიხილეს ქვეყნის ყველა პარტიულ და კომკავშირულ ორგანიზაციაში, ყველგან მიიღეს მისი განხორციელების კონკრეტული ღონისძიებანი.

სრულიად გარკვევით მინდა ვთქვა: ამ დადგენილების მიღება სულაც არ არის გამოწვეული ახალგაზრდების წრეში რაღაც „კრიზისული მოვლენებით", როგორც ცდილობენ საქმის წარმოდგენას ჩვენი მოძულეები. ყველა საფუძველი გვაქვს ვამაყობდეთ ლენინური კომკავშირით, საბჭოთა ახალგაზრდობით. იგი ღირსეულად ავლენს თავს ყველგან — შრომაში, სწავლაში, მხედრულ სამსახურში. ახალგაზრდები პირნათლად განაგრძობენ უფროს თაობათა საქმეს, პარტიის მოწოდებით გაბედულად ჰკიდებენ ხელს ქვეყნისათვის უმნიშვნელოვანეს ამოცანათა გადაწყვეტას.

თქვენ, რა თქმა უნდა, იცით, რა არის ბაიკალ-ამურის მაგისტრალი, იცით, რა უძნელესად რთულ ბუნებრივ პირობებში წარმოებს მისი მშენებლობა. და იმაში, რომ ვადაზე მთელი წლით ადრე გაიხსნა მთელ მაგისტრალზე გამჭო-

(დასასრული მე-2 გვ.)

სურათზე: შეხვედრის დროს.

სადაც-საქინფორმის ფოტო.

საზეიმო ვახტზეა რესპუბლიკა

არის ოთხი

წლის გეგმა!

ახეთია მარნეულის სამთო მამდიდრებელი კომბინატის კოლექტივის პატაკი დიდი ოქტომბრის დღესასწაულისათვის. მომხმარებელს პროგრამის გადამეტებით მილიონი მანეთის პროდუქცია გაეგზავნა. შრომის ნაყოფიერება თითქმის ხუთი პროცენტით გაიზარდა, რის შედეგადაც მიღებულია წარმოების მატების 80 პროცენტი. დაზოგილია მილიონ კილოვატსაათზე მეტი ელექტროენერგია.

ფლოტატორების თ. სელიმაშვილის, შ. კალიგრანოვის, ე. აკოფაშვილის, წისქვილების მემანქანის შ. უდლიევის, ე.მკავატორის მემანქანის, საქართველოს სსრ სახელმწიფო პრემიის ლაურეატის ა. მაისურაძის, ამფეთქებელ ა. კაპანაძისა და სხვების შრომითი კალენდარი ახლა 1985 წლის მეორე ნახევარს უჩვენებს.

საწარმოს კოლექტივს სამი მეობედი მოიცვა უკვე შრომის ორგანიზაციისა და სტიმულირების ბრიგადულმა ფორმამ.

კომბინატში ფართოდ იყენებენ ავტომატიზებული სახეების ახალ კომპლექსებს. დაინერგა დეტალების პლაზმური ჭრა და პლაზმური დაფრქვევა, რაც ათობით ახანგრძლივებს მოწყობილობის დეტალებისა და კვანძების სამსახურის ვადას. დამთავრდა მამდიდრებელი ფაბრიკის რეკონსტრუქცია.

ბევრი რამ გაკეთდა სამთო-მამდიდრებელი კომბინატის და მეტალურგთა დაბის სოციალური განვითარებისათვის. საექსპლოატაციოდ გადაეცა 10 ათას კვადრატულ მეტრზე მეტი საცხოვრებელი ფართობი, ორი სკოლა, ორი ბაგა-ბაღი, დასვენების ზონა სანატორიუმ-პროფილაქტორიუმით, კულტურულ-საყოფაცხოვრებო დანიშნულების სხვა ობიექტები. (საქინფორმი).

პირნათელი ვხვდებით

შრომა მიყვარს, მაგრამ რაც დრო გადის, უფრო გულიანად და ხალისიანად ვაკეთებ საქმეს. ვინც ჩემს მშობლიურ საგარეჯოს შემოივლის, მიხვდება, რატომაც ვხალისობთ. ერთობ პერსპექტიული გახდა ჩვენი ქალაქი. რაც აქ შენდება და კეთდება, სულ სამეცნიერო... როგორ არ გავიხარდეს, შვილებისა და შვილიშვილების პატრონი ვარ და ყოველივერი ხომ მათ უნდა გამოადგეთ.

ისეთი თეატრის შენობა გვაქვს, საქართველოში ბევრი არ იქნება ეგრე კეთილმოწყობილი. მევენახის სასახლეც ავაშენეთ, ახლა კიდევ ძველის ადგილზე ახალი სპორტის სასახლე წამოვმართეთ. ბოლო ათწლეულში ძალიან განვითარდა რაიონის მრეწველობა. ყოველივერი ეს იმიტომ ჩამოვთვალეთ, რომ მეგახსენოთ: თუ ჩვენებური ახალგაზრდა სწავლობს, ან მართლა სასარგებლო საქმეს აკეთებს, იმ შემთხვევაში მიდის ქალაქში, ისე რატომღა წავა?

განა გასაკვირებელი ცოტა გვრჩება? რაკი ქალაქი ძალიან გაიზარდა, სასმელი წყალი აღარა გვყოფნის. ახლა ეს საქმე დროზე უნდა მოვაგვაროთ, თორემ რაც ავაშენებთ, იმასაც აღარ ჩაგვითვლიან.

რამდენი ხანია ასე დამეკვება, რომ შვიდი ნოემბრის დღესასწაულს გულმდგრადებით ვეგებები ხოლმე.

წლევანდელ მართლა საღდესასწაულოდ გვაქვს საქმე. საგარეჯოს რაიონმა სახელმწიფო გეგმები შეასრულა მარცვლეულის დამზადებაში, მეცხოველეობის პროდუქტების წარმოებაში. დიდი გამარჯვება მოიპოვეს მევენახეებმა, რომლებმაც ამინდთან ჭიდილში მაინც გადამეტებით შეასრულეს სახელმწიფოსათვის ყურძნის მიყიდვის გეგმა. ამ საქმეში განსაკუთრებულ წარმატებას მიაღწია ჩვენმა მეურნეობამ. გამარჯვებაში ღირსეული წვლილი შეიტანა მექანიზატორთა ბრიგადამ, რომელსაც მე ვხელმძღვანელობ.

საგაისო მოსავლისაც კარგი საფუძველი ჩავუყარეთ, დროზე მოვხანით და დავთესეთ საშემოდგომო კულტურები.

პირნათლად მოვედით საოქტომბრო ზეიმზე.

ი. ალექსაშვილი,
საგარეჯოს მევენახეობის საბჭოთა მეურნეობის მექანიზატორთა ბრიგადირი, სოციალისტური შრომის გმირი.

კ. უ. ჩერნენკო შეხვდა სოციალისტური ქვეყნების ახალგაზრდულ ორგანიზაციათა ხელმძღვანელებს

(დასასრული)

ლი სამუშაო მოძრაობა, ნამდვილად ფასდაუდებელია საბჭოთა ახალგაზრდობის დამსახურება. დარწმუნებული ვარ, რომ ახალგაზრდები კარგად იშრომებენ ისტორიაში უდიდესი პროგრამის — მიწების მელიორაციის პროგრამის შესრულებისათვის, რომელიც ამას წინათ მიიღო სკკპ ცენტრალური კომიტეტის ოქტომბრის პლენუმმა.

ღირსებისამებრ ვაფასებთ რა კომკავშირის, ჩვენი ახალგაზრდობის დამსახურებას, ამავე დროს ცხადად ვხედავთ, რომ საბჭოთა საზოგადოების განვითარების ობიექტური მოთხოვნილებანი აყენებს ახალგაზრდობასთან მუშაობის ახალ პრობლემებს. ჩვენ საყსებით გვაქვს შეგნებული მათი პოლიტიკური მნიშვნელობა.

დობის წინაშე დგას თავისი ამოცანებით, შეიძლება ითქვას, არანაკლებ დიდებული ამოცანები, ვიდრე რევოლუციის დროს ან გარდამავალ პერიოდში იდგა. საქმე ხომ სოციალიზმის მონაპოვართა უდიდესი უპირატესობის სრულ გამოვლენას ეხება. საქმე ეხება იმას, რომ ჩვენი საზოგადოების ცხოვრების ყველა მხარე შევუსაბამოთ მეცნიერული სოციალიზმის უმაღლეს მოთხოვნებს. და, მაშასადამე, იმას, რომ ამოვძირკვოთ მისგან ყოველივე, რაც არ შეესაბამება სოციალისტურ სამართლიანობას, კოლექტივისტურ პრინციპებს, შრომითს მორალს.

კალმა რომ თქვას, სწორედ ეს არის განვითარებული სოციალიზმის სრულყოფისათვის გამიზნული კურსის არსი. იგი ყოველმხრივ უნდა დასაბუთოს სკკპ პროგრამის ახალმა რედაქციამ, რო-

...

ჰოდა, განსაჯეთ, რა პასუხისმგებლობა ეკისრება ჩვენს ცვლას, იმათ, ვინც უნდა განავითარონ ყოველივე, რაშიც ჩადებულია სოციალისტური ალმშენებლობის წამომწყებთა რევოლუციური ენთუზიაზმი, სულიერი წვა. აქ არაფრით არ შეიძლება ვემტყუნოთ საქმეს. სწორედ ამიტომ პარტიული ორგანიზაციები მუდამ სწვდებიან პროცესებს, ახალგაზრდობის წრეში რომ მიმდინარეობს, საგნობრივად ეცდებიან საზოგადოების ნორჩ მოქალაქეთა ჩამოყალიბებას.

ახალგაზრდობის სწორი, ნამდვილად ქმედითი აღზრდა მიიღწევა მხოლოდ მაშინ, როცა იგი მთლიანად აქტიურად მონაწილეობს ხალხის საერთო შრომაში. დღეს ჩვენ ვწყვეტთ ისეთი ნოვატორული ხასიათის ამოცანებს, როგორიც არის სახალხო მეურ-

...

კომკავშირულმა ორგანოებმა საფუძვლიანად უნდა ეძებონ გზები, რომლებიც უზრუნველყოფს ახალგაზრდების ძალების, ინიციატივისა და ენერგიის ყველაზე ეფექტიან გამოყენებას.

ჩვენ გვინდა, რომ კომკავშირის ხმა ისმოდეს ყველა საკითხთა გადაწყვეტისას: მაშინაც, როცა საქმე ეხება ქალიშვილებისა და ჭაბუკების შრომას, ყოფა-ცხოვრებასა და დასვენებას, და მაშინაც, როცა დგება საერთოსახელმწიფო, საერთო-სახალხო მნიშვნელობის პრობლემები.

ლენინური ტრადიციების სულისკვეთებით პარტია უდიდესი ყურადღებითა და ნდობით ეკიდება ჩვენს ახალგაზრდობას, კომკავშირს, მიიჩნევს მათ კადრების ამოუწურავ რეზერვად. ამასთან დაკავშირებით მინდა შევეხო იმას, თუ რა დიდი მნიშვნელობა

...

ვილებისა და ჭაბუკების იდეურპოლიტიკური, ზნეობრივი აღზრდის წინაშე არსებული შესაძლებლობანი. და ეს შესაძლებლობანი სრულად უნდა გამოვიყენოთ. ამასთან არ შეიძლება არ ვითვალისწინებდეთ სოციალიზმის ქვეყნების წინააღმდეგ იმპერიალისტური წრეების მიერ გაჩაღებულ მასირებულ ფსიქოლოგიურ ომსაც. სწორედ ამიტომ კომკავშირს მიზნად ვუსახავთ აქტიურად, მიზანმიმართულად და მოფიქრებულად იმუშაოს იმისათვის, რომ აღზარდოს ახალგაზრდები კომუნისტური მრწამსის, მაღალი ზნეობის, სამშობლოს, სოციალიზმის დიადი საქმის უსაზღვრო ერთგულების სულისკვეთებით.

წარმატება იდეამინებთან ამ, ისე როგორც, სხვათა შორის, ყველა სხვა მუშაობაში, უდიდესწილად განისაზღვრება თვით კომ-

...

ფერთა მწვერვალებიდან, მიდიან მათკენ შემოქმედებითი შრომის პირდაპირი გზით. ეს ყველაფერი ასეა. მაგრამ ახალი საზოგადოების და, მაშასადამე, ახალგაზრ-

...

ზომება უწინარეს ყოვლისა იმით, თუ რაოდენ წარმატებით გავართმევთ თავს ჩვენში აშენებული სოციალიზმის სრულყოფის საქმეს.

...

როდ მონაწილეობდნენ მასები საზოგადოებრივი და სახელმწიფო საქმეების მართვაში. ასე რომ, როგორც პარტიულმა, ისე

...

ცდილი წარმომადგენლების მხარდამხარ, შეიძინონ საჭირო წრთობა.

ახლა კომკავშირს აქვს ქალიშ-

...

რატიული, თვითმოქმედი ორგანიზაციაა.

რა თქმა უნდა, ჩვენ გვესმის, რომ მარტო კომკავშირს არ ძა-

...

ლიდარობის შემდგომ განმტკიცებას, მშვიდობისა და სოციალური პროგრესის დამცველთა რიგების გაფართოებას.

ძალიან კარგია, რომ ერთმანეთს გაუზიარეთ ინფორმაცია გერმანიის ფაშიზმზე და იაპონიის მილიტარიზმზე გამარჯვების

...

მოადგილე ე. ზ. რაზუმოვი, სკკპ ცენტრალური კომიტეტის განყოფილების გამგის პირველი მოადგილე ო. ბ. რახმანინი, სკკპ ცენტრალური კომიტეტის გენერალური მდივნის თანაშემწეები ე. ა. პეჩენევი, ვ. ვ. პრიბიტკოვი. (საქინფორმი).

1984 წლის 10-15 ნოემბერს გათვალისწინებულია ზამთრისათვის სახალხო მეურნეობის ობიექტების მზადყოფნის მდგომარეობის მასობრივი შემოწმების მოწყობა.

ამასთან დაკავშირებით რესპუბლიკის კომუნისტებს, კომკავშირელებს, ყველა მშრომელს მივმართავთ თხოვნით გამოთქვან თავიანთი შენიშვნები, წინადადებები, სურვილები ზამთრის პერიოდისათვის მზადების, სათბობი რესურსებით სახალხო მეურნეობის ობიექტების შეუფერხებელი მომარაგების საკითხებზე. თქვენი უშუალო და აქტიური მონაწილეობა ამ დიდმნიშვნელოვან ღონისძიებაში დიდ დახმარებას გაგვიწევს ზამთრისათვის საქართველოს სს რესპუბლიკის საწარმოებისა და ორგანიზაციების მზადყოფნის უზრუნველყოფის ღონისძიებათა შემუშავებაში.

საქართველოს კომპარტიის ცენტრალური კომიტეტი.

ზამთრისათვის მზადება პარტიული საზრუნავია

1984 წლის 10-15 ნოემბერს სწორედ ეს ამოცანები აქვს ...

...

— თქვენ თქვით, რომ დათვალიერებაში მონაწილეობს მთელი საზოგადოებრიობა...

— საქართველოს კომპარტიის ცენტრალური კომიტეტი დიდ მნიშვნელობას ანიჭებს კომუნისტების, კომკავშირელების, რესპუბლიკის ყველა მშრომელის აქტიურობას ამ ერთად საჭირო საქმეში. სწორედ ამიტომ მიმართა ცენტრალურმა კომიტეტმა მათ თხოვნით გამოთქვან თავიანთი შენიშვნები, წინადადებები, სურვილები ამ საკითხზე.

მთაში მიმავალი რელსები

დიდი ოქტომბრის სოციალისტური რევოლუციის 67 წლისთავისათვის ახალი შრომითი გამარჯვება მოიპოვეს მარაბდა- ახალქალაქის რკინიგზის მაგისტრალის მშენებლებმა. დაიწყო სამუშაო მოძრაობა მარაბდა-ნადარბაზევის უბანზე.

მშენებლებმა დაძლიეს მთის ხრამები და მდინარეები, წლის მიწურულამდე რელსების დაგება რაიონულ ცენტრ წალკამდე დამთავრდება.

„გავაგრძელოთ მარაბდა-ახალქალაქის რკინიგზის ხაზის მშენებლობა" — ეს სტრიქონები სკკპ XXVI ყრილობის გადაწყვეტილებებიდან უკვე განხორციელდა, რაც ხელს შეუწყობს საქართველოს მთელი რიგი მთიანი რაიონების შემდგომ სოციალურ-ეკონომიკურ განვითარებას.

სსრ კავშირის სატრანსპორტო მშენებლობის სამინისტროს ხიდმშენებელთა № 89 რაზმის კოლექტივს მოუწევს ორმოცი ათასი კუბური მეტრი მიწის სამუშაოების შესრულება, 25 ათასი კუბური მეტრი მონოლითური ბეტონის დაგება და 17 ათასი კუბური მეტრი რკინაბეტონის კონსტრუქციების დამონტაჟება. მთელ ტრასაზე, რომლის სიგრძე 160 კილომეტრია, მშენებელთა ეს რაზმი ააგებს 38 დიდ და საშუალო ხიდს, გვირაბებს.



სურათებზე: უბნის უფროსი გიორგი მამრიკიშვილი (მარჯვნივ) და სამუშაოთა მწარმოებელი ჯონდო ბოჯორაშვილი; მთაში მიმავალი რელსები; მარაბდა-ნადარბაზევის უბანზე პირველი ელექტრომატარებლები გავიდნენ.

შ. აივაზოვის ფოტო. (საქინფორმის ფოტოქრონიკა).

ეგებებიან დიად დღესასწაულს

ქობა ორსართულიანი სახლი ჭორობის ზეობას გადასცქერის. აქედან ლამაზად მოჩანს ყველაფერი — მთა, ბარი, მთელი სოფელი. სახლს ლამაზი კარმიდამო აშვენებს, რაც იმაზე მეტყველებს, ...

...

აჭარა

რაზე ფიქრობს დეპუტატი

...

სამხრეთ ოსეთი

იმრავლოს თეთრმა ქარავანმა

...გორის რაიონს 40 ათასი მატყლი. სახელმწიფოს ჩაბარდა 229,3 ტონა მატყლი ... სახელმწიფოს 208,7 ტონის ნაცვლად. საზოგადოებრივი სექტორიდან სახელმწიფოსათვის მიყიდულ 953 ტონა ხორციდან 684 ტონა ცხვრისაა, ეს მარიმანდელ მაჩვენებელს 42 ტონით სჭარბობს. წელს ორგანიზებულად მოწველეს ცხვარი და 35 ტონა ყველი დაამზადეს. სახელმწიფოს მარტო ამ შემოდგომით ჩაბარდა 21 ათასი სული ცხვარი.

ყველაფერი ეს ისე გაკეთდა, რომ საზოგადოებრივი ფარების სულადობის გეგმა არ შემცირებულა. და აი, მორეული კახეთი-პირუთისკენ მიმავალ გზას ადგას 93.139 სული საზოგადოებრივი ცხვარი. ცხვარს მწყემსად გაჰყვა 500-მდე მეცხვარე. ...

ბინებით, ფარეხებით, საბატკნეებით, საბრელებით, მარტო წელს 10 ახალი კაპიტალური ფარეხი აშენდა.

...

გზა მშვიდობისა, ქარჩხელო, კორინთელო, ეუანამხრელო, ...

ბ. თედეევი, „კომუნისტის" სპ. კორ.

მოუთმენლად მოველით, ფესტივალო!

ყველა კონტინენტის ქალიშვილთა და ჭაბუკთა ცხოვრებას ლაზათი შემატა ახალგაზრდათა და სტუდენტთა XII მსოფლიო ფესტივალის მზადებამ. ამ სამზადისის ახალი დიდმნიშვნელოვანი ეტაპი დაუდგა: 4 ნოემბერს მოსკოვში დამთავრდა ახალგაზრდობის ფორუმის საერთაშორისო მოსამზადებელი კომიტეტის III სხდომა, რომელზეც მუდმივი კომისია შეიქმნა. ეს კოლექტიური ორგანო, რომლის შემადგენლობაში არიან სხვადასხვა ქვეყნის წარმომადგენლები, შეუდგა მომავალი დღესასწაულის პროგრამის საბოლოო შემუშავებას.

დისკუსიის მონაწილეებმა დასახეს ძირითადი ღონისძიებანი. ფორუმის მუშაობის ფორმები იქნება მიტინგები და მანიფესტაციები, კონფერენციები და დისპუტები „მრგვალ მაგიდასთან", პროფესიით კოლეგების შეხვედრები, სხვადასხვა კულტურული და სპორტული ღონისძიებანი.

სხვა დიდმნიშვნელოვან საკითხთა შორის სხდომაზე იმსჯელეს ახალგაზრდათა ფორუმის სოლიდარობის საერთაშორისო ფონდის ჩამოყალიბების შესახებ.

სხდომის შედეგების გამო მიღებულია კომუნიკე. (საქდესის კორ.).

აფხაზეთი

ვარსკვლავი ყველა შახტზე კაშკაშებს

რეპორტაჟი

...

1949 წლის თებერვალში გაზეთი „ტყვარჩელსკი გორნიაკი" წერდა, რომ მ. ალიბეგი რეკორდისათვის ემზადება, გადაწყვეტილი აქვს თებერვალში ორი თვის გეგმა შეასრულოს.

...

შ. ამაშუკელი.
ი. გოგუაძე.

გაიხსნა ახალი ექსპოზიცია

მოსკოვში ცენტრალურ საგამოფენო დარბაზში გაიხსნა გამოფენა, რომელიც ეძღვნება დიდი ოქტომბრის სოციალისტური რევოლუციის 67 წლისთავს.

ექსპოზიცია, რომელსაც ჰქვია „საბჭოთა ქვეყანა ხელოვნების ნაწარმოებებში, ისტორიისა და კულტურის ძეგლებში", მოამზადეს სსრ კავშირის ცენტრალური რევოლუციის მუზეუმმა.

სურათებზე: 1917 წლიდან სკკპ წევრი, დიდი ოქტომბრის სოციალისტური რევოლუციის, სამოქალაქო ომისა და დიდი სამამულო ომის მონაწილე, სსრ კავშირის ცენტრალური რევოლუციის მუზეუმის ხელშემწყობი სკკპ ვეტერანთა საბჭოს თავმჯდომარე კ. ა. სანიკიძე გამოფენის დამთვალიერებლებთან შეხვედრაზე.

გამოფენის ექსპონატი — ვ. ი. ლენინის ნაშრომი „წერილი „ისკრის" რედაქციას" „ჟენევის ფონდიდან".

საქდესისა და საქინფორმის საოქტომბრო ტელეტაიპი — „კომუნისტს"

რევოლუციის გმირული სახე

ვ. ი. ლენინის ცენტრალურ მუზეუმში გაიხსნა საბჭოთა კავშირის მხატვართა ნაწარმოებების გამოფენა, რომელიც გვაცნობს სოციალისტური რევოლუციის სიდიადეს და მისი ბელადის ნათელ სახეს.

დაახლოებით 70 ნამუშევარი — ფერწერა, გრაფიკა, ქანდაკება — გაერთიანებულია თემით „ლენინი და ოქტომბერი". ამ ნაწარმოებთაგან ბევრი შევიდა საბჭოთა სახვითი ხელოვნების ოქროს ფონდში. მათ შორის არის ი. ბროდსკის ცნობილი სურათი „ვ. ი. ლენინი და მანიფესტაცია". მხატვარმა იგი 1919 წელს ...

... სრულებულ სკულპტურულ პორტრეტს, რომელიც მ. ხარლამოვმა შეასრულა, ვ. ვუჩეტიჩის, ნ. ტომსკის, ა. გერასიმოვის, ვ. სეროვის, პ. ვასილიევის, ნ. ჟუკოვის, სხვა თვალსაჩინო ოსტატთა ნამუშევრებს.

მუზეუმის ახალ შენაძენთა შორისაა ს. მერკუროვის მიერ შესრულებული ილიჩის ქანდაკება. იგი 1935 წელს ჩამოასხეს მოსკოვის ქარხანა „იზოლატორის" მუშებმა და აჩუქეს საწარმოს დირექტორს ფ. ბუჩენკოვს — შთამომავლობით პროლეტარს, წითელგვარდიელს. ახლა, ოქტომბრის დღესასწაულის წინ, მან ...

ვ. ი. ლენინი — ტრიბუნი

ამშენებლობის მარშრუტებით

შრომის პირობების გასაუმჯობესებლად

დროის მოთხოვნათა დონეზე

საქართველოს მეცნიერ-მსიქოლოგთა პირველი შეხვედრა

ტელეფონის ხაზზეა მოსკოვი

სითბო რუსული გულისა

3 ნოემბერს თბილისის ზ. ფალიაშვილის სახელობის ოპერისა და ბალეტის სახელმწიფო აკადემიურმა თეატრმა მოსკოვის დიდი თეატრის სცენაზე წარმოადგინა რ. შტრაუსის ოპერა „სალომე". თამამად შეიძლება ითქვას, რომ ეს იყო ალბათ თეატრის გასტროლების კულმინაციური წერტილი ...

ამრიგად, საბჭოთა ქვეყანა წლეულს სამოცდამეშვიდეჯერ აღნიშნავს თავის დაბადების დღეს. განვლილი დრო ისტორიული თვალსაზრისით, ცხადია, მცირეა, მაგრამ საკმარისია იმისათვის, რომ ყოფილ პარაკით დამხობილი რუსეთის იმპერიის ნანგრევებზე აღმოცენებული სახელმწიფოს მიღწევებზე. განვლილ გზას რომ ავლებენ თვალს, რომელიც მრავალი განსაცდელით იყო აღსავსე, ჩვენი ქვეყნის ჭეშმარიტად თავისუფალი ხალხები სამართლიანად ამაყობენ მიღწეულით — ოდესღაც ევროპის ჩამორჩენილ კუთხეს უკვე დიდი ხანია მყარად უჭირავს ერთ-ერთი პირველი ადგილი მსოფლიოში ეკონომიკური პოტენციალით და სხვა სოციალისტურ ქვეყნებთან ერთიან ოჯახში მშვიდობისა და სოციალური პროგრესისათვის ბრძოლის ავანგარდში დგას, მთელ კაცობრიობას უჩვენებს წინსვლის ერთადერთ სწორ გზას. დიდმა ოქტომბერმა ჩვენი პლანეტის ისტორიაში დასაბამი მისცა ახალ ეპოქას — სოციალიზმისა და კომუნიზმის ეპოქას.

ახალი ეპოქის მაცნე

5 ნოემბერი

უცხოეთში

ფაქტები, მოვლენები. საქდესი იუწყება

მძღვნება დიდ ოქტომბერს

ჩეხოსლოვაკია

უნგრეთი

ავღანეთი

შვეცია

ვითარება ინდოეთში

დელი. პრემიერ-მინისტრმა რაჯივ განდიმ განაგრძო მთავრობის შემადგენლობის ჩამოყალიბება. ფიცი დადებინეს იმ კაბინეტის წევრ ცხრა მინისტრს, რომელშიც შედის 13 მინისტრი და 21 სა... მეგობელი, პ. ვ. ნარასიმჰა რაო — შინაგან საქმეთა მინისტრი და დაგეგმვის სამინისტროსათვის დროებითი პასუხისმგებელი, შ. ბ. ჩავანი — თავდაცვის მინისტრი. (საქდესი).

• ლიბანი

დააჩქარეს კონტროლი

• აშშ

ტერორისტული აქცია

დელიდან გამომგზავრნენ

დელი. სსრ კავშირის მთავრობის დელეგაცია სკკპ ცენტრალური კომიტეტის პოლიტბიუროს წევრის, სსრ კავშირის მინისტრთა საბჭოს თავმჯდომარის ნ. ა. ტიხონოვის მეთაურობით, რომელიც ინდოეთის გამოჩენილი სახელმწიფო და საზოგადო მოღვაწის ინდირა განდის დაკრძალვაში მონაწილეობდა, სამშობლოში გამოემგზავრა. დელეგაციის შემადგენლობაში იყვნენ აგრეთვე სკკპ ცენტრალური კომიტეტის პოლიტბიუროს წევრობის კანდიდატი, სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის თავმჯდომარის პირველი მოადგილე ვ. ვ. კუზნეცოვი, სკკპ ცენტრალური კომიტეტის წევრი, სსრ კავშირის ...

... მოსკოვში აეროდრომზე დელეგაციას დახვდნენ სკკპ ცენტრალური კომიტეტის პოლიტბიუროს წევრი, სსრ კავშირის მინისტრთა საბჭოს თავმჯდომარის პირველი მოადგილე გ. ა. ალიევი, სკკპ ცენტრალური კომიტეტის პოლიტბიუროს წევრი, სკკპ ცენტრალური კომიტეტის მდივანი გ. ვ. რომანოვი, სკკპ ცენტრალური კომიტეტის პოლიტბიუროს წევრობის კანდიდატი, სკკპ ცენტრალური კომიტეტის მდივანი ბ. ნ. პონომარიოვი, სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის ...

• ნიკარაგუა

არჩევნების წინასწარი შედეგები

... მისცა ამომრჩეველთა დაახლოებით 63,7 პროცენტმა.

კაპიტალის, უუფლებობის სამყაროში

• ამერიკის შეერთებული შტატები

8, 4 მილიონი უმუშევარი

ვაშინგტონი. ოქტომბერში შეერთებულ შტატებში სამუშაო არ ჰქონდა 8,4 მილიონ ამერიკელს, რაც ქვეყნის შრომისუნარიანი მოსახლეობის 7,4 პროცენტს შეადგენს.

ამას იუწყება ამერიკის შეერთებული შტატების შრომის სამინისტრო.

საზოგადოებრივი ორგანიზაციების მრავალი სპე...

• სამხრეთ აფრიკის რესპუბლიკა

რასისტთა ალვირახსნილი თარეში

ს. კილაძის ფოტო.

ოქროს ქორწილები მახარაძეში

დილიჯანში მახარაძის ქუჩებსა და მოედნებზე გაისმოდა მუსიკა, მრავალხმიანი ქართული სიმღერები. გასულ კვირას მახარაძელებმა იზეიმეს შვიდი ოქროს ქორწილი.

ოთარ ჭელიძე

მწვერვალის მკვიდრნი

ძმობამ მანძილი არ იცის

(მახარაძე)

რაზე ფიქრობს დეპუტატი

შოთა როგავა.

მეგობრობა გზად და ხიდად

თვითმოქმედების მაღალი დონე

ჯილდოებით დაბრუნდნენ

მოსწავლეთა სპარტაკიადა: მომავლის გაკვეთილი

ჭადრაკი

მაია ჩიბურდანიძის სახელობისა

ბოლო ტურის წინ

უკანასკნელ საათს

გუშინ მოსკოვში გაიმართა ანატოლი კარპოვისა და გარი კასპაროვის მატჩის ოცდამეორე პარტია. თეთრებით თამაშობდა პრეტენდენტი. პარტია მეოცე სვლაზე ყაიმით დამთავრდა.

ფეხბურთის ამბები

პირველი ზღუდე გადალახეს

თბილისის ვ. ი. ლენინის სახელობის „დინამოს" სტადიონზე სსრ კავშირისა და ჩეხოსლოვაკიის ჭაბუკ ფეხბურთელთა ნაკრების გამართულმა მატჩმა დიდი ინტერესი გამოიწვია. 16 წლამდე ასაკის ფეხბურთელთა ევროპის ჩემპიონატის ეს პირველი შესარჩევი შეხვედრა მასპინძელთა უპირატესობით წარიმართა — 2:0. მასპინძლები ერთთავად მეტოქეთა კარის მისადგომებთან იყვნენ და დიდხანს რომ ვერ გახსნეს ანგარიში, ალბათ ასეთ პასუხსაგებ მატჩებში მონაწილეობის გამოუცდელობით უნდა აიხსნას.

საბჭოთა ნაკრების შემადგენლობაში სხვებთან ერთად თბილისელებმა კელემბეკოვმა, რეველიშვილმა, ფანცულაიამ და მეჭამაძემ ითამაშეს. აღსანიშნავია, რომ ოთხივემ კარგი შთაბეჭდილება დატოვა. ასევე გამოირჩეოდნენ აგრეთვე მიასნიკოვი და კობელევი. ორივე ბურთი მეორე ტაიმში გავიდა: 43-ე წუთზე (ჭაბუკები თითო ტაიმს 40 წუთს თამაშობენ) მეტოქეთა კარი 11-მეტრიანი დარტყმით აიღო კობელევმა. აღსანიშნავია, რომ 11-მეტრიანი საჯარიმო დაინიშნა მას შემდეგ, როცა ფანცულაიამ კარისკენ ძლიერად დაარტყა და ჩეხოსლოვაკიელთა ერთ-ერთმა მცველმა ხელით ითამაშა; 49-ე წუთზე მეორე გოლი გაიტანა მიასნიკოვმა.

ჩვენი ნაკრების უპირატესობა იმითაც გამოიხატა, რომ მისმა წევრებმა მეტოქეთა კართან 13-ჯერ მოაწოდეს კუთხური. მოწინააღმდეგეებს ასეთი შესაძლებლობა მხოლოდ ერთხელ მიეცათ.

ჩეხოსლოვაკიის ნაკრების მწვრთნელმა ვ. კოვარიკმა, მატჩის შემდეგ კორესპონდენტებთან საუბრისას აღნიშნა, რომ მას განსაკუთრებით მოეწონა რეველიშვილის, ფანცულაიას, კობელევის და მიასნიკოვის თამაში. საბჭოთა გუნდის მწვრთნელმა ბ. კოსტილევმა ცალკეულად არავინ გამოყო, მაგრამ მთლიანად კოლექტივის თამაშს კარგი შეფასება მისცა. მან აგრეთვე აღნიშნა, რომ ეს მატჩი მართლაც საუცხოოდ იყო ორგანიზებული, კომაგების მხარდაჭერაც არ გაკლდა და მადლობის მეტი არაფერი გვეთქმის.

ამ გუნდების განმეორებითი მატჩი გაიმართება ჩეხოსლოვაკიაში 1985 წლის 30 მარტს.

ს. დევიძე.

ყველა ადგილი განაწილდა

გასულ კვირა დღეს პირველი ლიგის ფეხბურთელთა საკავშირო ჩემპიონატის ბოლო ტურის მატჩები გაიმართა და გათამაშების ცხრილმაც დასრულებული სახე მიიღო. ამ დღეს ქუთაისელი ტორპედოელები კრასნოდარში ადგილობრივ „კუბანს" შეხვდნენ. მატჩი დამთავრდა ფრედ — 0:0. დანარჩენ შეხვედრებში კი ასეთი შედეგები აღინიშნა: ხაბაროვსკის ასკ-სიმფეროპოლის „ტავრია" — 3:1, მოსკოვის „ლოკომოტივი"-კიშინიოვის „ნისტრუ" — 1:0, ომსკის „ირტიში"-დუშანბეს „პამირი" — 0:1, კემეროვოს „კუზბასი"-ჯიზაკის „ზვეზდა" — 7:0. ნიკოლაევის „კოლოსი"-ორჯონიკიძის „სპარტაკი" — 3:1, ზაპოროჟიეს „მეტალურგი"-ლანჩხუთის „გურია" — 1:0, ვოლგოგრადის „როტორი"-ბათუმის „დინამო" — 4:3, იაროსლავლის „შინნიკი"-ვოროშილოვგრადის „ზარია", — 0:0, სმოლენსკის „ისკრა"-ვორონეჟის „ფაკელი" — 2:1, რიგის „დაუგავა"-ასკ „კარპატი" — 1:1. გათამაშების საბოლოო ცხრილში გუნდები ასე განლაგდნენ:

	მ.	ფ.	წ.	ბ.	ქ.
„ფაკელი"	25	7	10	61-30	57
„ტორპ." ქ.	23	9	10	76-55	55
ასკ „კარპ."	20	9	13	63-44	49
„კუბანი"	20	9	13	60-41	49
„მეტალ."	18	12	12	57-43	48
„ლოკომ."	17	13	12	44-37	46
„დაუგავა"	16	14	12	65-50	44
„პამირი"	16	11	15	51-44	43
„კუზბასი"	17	8	17	56-51	42
„გურია"	16	10	16	49-52	42
„დინ." ბთ.	16	8	18	58-67	40
„ისკრა"	15	10	17	44-47	40
„ზვეზდა"	17	5	20	51-64	39
ასკ ხბ	14	11	17	55-59	39
„სპარტაკი"	15	8	19	42-51	38
„როტორი"	15	8	19	63-78	38
„შინნიკი"	13	12	17	49-50	38
„კოლოსი"	13	12	17	50-59	38
„ნისტრუ"	13	12	17	45-58	38
„ზარია"	13	11	18	54-61	37
„ტავრია"	12	11	19	48-58	35
„ირტიში"	8	10	24	35-72	26

ვოლგოგრადში და კრასნოდარში ტორპედოელებმა შესუსტებული შემადგენლობით იასპარეზეს (ტრავმების გამო შინ დარჩნენ გუნდის ძირითადი ბირთვის წარმომადგენლები კოსტავა, მეგრელაძე, კვერნაძე, თავაძე, ჯიხაძე, ქურასელიძე და ბუკაძე) და მაინც ქუთაისელი ფეხბურთელები ამ ქალაქებიდან გულნაკლულნი არ დაბრუნებულან. ორივე ქალაქის საზოგადოებრიობამ მათ გულითადად მიულოცა უმაღლეს ლიგაში გადასვლა და ვერცხლის მედლების მოპოვება. ქუთაისელთათვის განსაკუთრებით დასამახსოვრებელი გახლდათ ვოლგოგრადში ყოფნა, სადაც მასპინძლებმა გმირი ქალაქის ღირსშესანიშნაობანი — მამაევ ყორღანზე შექმნილი დიდებული მემორიალი, სტალინგრადის ბრძოლის პანორამა და 26 ოქტომბერს საზეიმოდ გახსნილი მაია ჩიბურდანიძის სახელობის საოლქო საჭადრაკო კლუბი დაათვალიერებინეს.

ჯ. ცინცაძე.

რედაქტორი

ვ. ბედინეიშვილი.

მოსკოვი

ჩვენს ტელეეკრანებზე

თბილისი

თეატრი